S.p.s. ,,ArchiShape,,

ქ. თბილისი, შესახვევი ჩეხოვი №7-ში, ს/კ (01.17.01.114/002)

მრავალფუნქციური შენობის

მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი

მუშა პროექტი

დირექტორი: /ჯ. აკობია/

დაამუშავა:  / ნ. კაციტაძე /

შინაარსი

I – განმარტებითი ბარათი

1. საერთო ნაწილი
2. მშენებლობის პირობების დახასიათება
3. სამშენებლო ობიექტის დახასიათება და ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები
4. სამშენებლო მოედნის ორგანიზაცია
5. სამუშაოთა წარმოების წესები და მეთოდები
6. მშენებლობის ხანგრძლივობის დადგენა
7. უსაფრხოების ტექნიკა
8. გარემოს დაცვის ღონისძიებები

II – მშენებლობის წარმოების გრაფიკი

III – ძირითადი სამშენებლო მანქანებისა და სატრანსპორტო საშუალებების მოთხოვნილებათა უწყისი

IV – გამოყენებული ლიტერატურა

გრაფიკული ნაწილი (მოპ-1, მოპ-2)

I – განმარტებითი ბარათი

1. საერთო ნაწილი

ა. მშენებლობის ორგანიზაციის პროექტის დამუშავების საფუძვლად დაედო შემდეგი მონაცემები:

- დავალება პროექტირებაზე;
- პროექტით მიღებული არქიტექტურული და კონსტრუქციული გადაწყვეტები
- მშენებლობის რაიონის სიტუაციური გეგმა;
- გეოდეზიური გეგმები და პროფილები;
- გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური გამოკვლევების მონაცემები;
- სამშენებლო ორგანიზაციის მონაცემები, მანქანა-მექანიზმებით აღჭურვილობაზე.

ბ. მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი შესრულებულია მოქმედი სამშენებლო ნორმების, წესებისა და სახელმწიფო სტანდარტების (მათ შორის ხანძარფეთქებადი უსაფრთხოების) შესაბამისად.

2. მშენებლობის პირობების დახასიათება

სამშენებლო ტერიტორია მდებარეობს თბილისში,
საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტი:
ფენა №1 – ალუვიური, კაჭარ-კენჭნარი
ფენა №2 – გამოფიტული ქვიშა ქვების და არგილიტების მორიგეობა
ფენა №3 – გათიხებული არგილიტები
ფენა №4 – ნაკლებად გამოფიტული ქვიშა ქვების და არგილიტების მორიგეობა.
სამშენებლო ტერიტორია არ ხასიათდება გრუნტის წყლების არსებობით.

სეისმური დარაიონებით ტერიტორია მიეკუთვნება 8 ბალიან ზონა

3. სამშენებლო ობიექტის დახასიათება და ტექნიკურ ეკონომიკური მაჩვენებლები

მოცემულ ტერიტორიაზე განთავსებულია ძველი ავარიული შენობა, რომლის ადგილზეც უნდა აშენდეს ახალი შენობა ძველი იერსახით. მშენებლობის დაწყების წინ უნდა დაიშალოს ძველი შენობა ნაწილობრივ (სარდაფი ნარჩუნდება) ზველი შენობის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები: მიწის ფართობი – 294კვმ, განაშენიანების ფართობი – 164.2კვმ. საერთო ფართობი – 458.9, მოცულობა შენობის 1750 მკუბი, შენობის მოცულობა 0.00 ნიშნულის ზემოთ 1580 მკუბი, 0.00 ნიშნულის ქვემოთ 170 მკუბი, საერთო ფართობი – 458.9კვმ. საცხოვრებელი ფართი – 221.9კვმ. სარდაფის ფართობი 53 კვმ, სხვენის ფართობი – 154.2კვ.მ, საზაფხულო ფართობი – 29.8კვმ, შენობის კონსტრუქციული სიმაღლე 0.00 ნიშნულის ზემოთ –10.40მ, 0.00 ნიშნულის ქვემოთ – 3.24.

არსებული დასაშლელი შენობის დახასიათება:

არსებული დასაშლელი შენობა მდებარეობს ქ. თბილისში, შესახვევი ჩეხოვის №7-ში, წარმოადგენს ორსართულიან ნაგებობას, სარდაფით. გეგმაში ნაგებობის ზომებია დაახლოებით 15X18.3 მ. არსებული შენობა ავარიულია, შენობის ძალოვანი სქემა მზიდი კედლების სისტემაა, სართულშუა გადახურვები ხის კონსტრუქციები, კედლები – აგურის წყობა, კიბე – ხის.

ახალი შენობის დახასიათება და თექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები:

ქ. თბილისში, შესახვევი ჩეხოვის №7-ში, მდებარე ასაშენებელი შენობა წარმოადგენს ორსართულიან ნაგებობას, სარდაფით.

საპროექტო შენობა წარმოადგენს სამ სართულიან ნაგებობას, სარდაფის სართულით შენობა არის კარკასული, ლენტურ საძირკვლებზე დაყრდნობით. მიწის ფართობი – 294კვმ, განაშენიანების ფართობი – 184.4კვმ. საერთო ფართობი – 721.2

მოცულობა შენობის 2250 მკუბი, შენობის მოცულობა 0.00 ნიშნულის ზემოთ 1730.0 მკუბი, 0.00 ნიშნულის ქვემოთ 170 მკუბი, საერთო ფართობი – 458.9კვმ. კომერციული ფართობი – 426, სარდაფის ფართობი 112 კვმ, კიბის უჯრედის ფართობი – 56.7კვ.მ, საზაფხულო ფართობი – 126.5კვმ, შენობის კონსტრუქციული სიმაღლე –14.10მ, 0.00 ნიშნულის ზემოთ – 10.85მ, 0.00 ნიშნულის ქვემოთ – 3.25

საძირკვლები – მონ. რკ.ბ. ლენტური

სვეტები – მონ. რკ/ბეტონის.

კოჭები – მონ. რკ/ბეტონის.

გადახურვა ფილები – მონ. რკ.ბ.

კედლები – სამშენებლო წვრილი ბლოკი.

ტიხრები – მსუბუქი თაბაშირმუყაოსი.

სახურავი – ბრტყელი, რუბეროიდი ბიტუმის მასტიკაზე.

ნაგებობის უზრუნველყოფა წყლით და ელ. ენერგიით გათვალისწინებულია ადგილობრივი ქსელებიდან. მშენებლობის დაწყების წინ მისი საჭიროებისათვის წყლისა და ელექტროენერგიის მოხმარების საკითხი უნდა შეთანხმდეს ადგილობრივ რაიონულ წყალკანალთან და ელმომარაგებასთან.

4. სამშენებლო მოედნის ორგანიზაცია

ა. სამშენებლო მოედნის ორგანიზაცია გულისხმობს სამშენებლო წარმოების მომზადებას საინჟინრო თვალსაზრისი სნ და წ 3.01.01-85 §1 და §2 დებულებე- ბის გათვალისწინებით.

ბ. ახალი მშენებლობის დაწყების წინ საქალაქო არქიტექტურულ-დაგეგმარები- თი სამსახურის სპეციალისტებთან ერთად სრულდება ტოპო-გეოდეზიური სამუშაოები შენობების მიბმითა და ღერძების დაკვალვით, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს სნ და წ 3.01.01-84 და სახსტანდარტის 24846-84 მოთხოვნილებებს.

გ. წინა პუნქტში დაქვემდებარებულ სამუშაოთა შესრულების შემდეგ სამშენე- ბლო მოედანს საჭიროა შემოევლოს დროებითი ხის ან მავთულბადოვანი ღობე, როგორც ეს რეკომენდირებულია სამშენებლო გენგეგმაზე.

დ. სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წარმოებისას აუცილებელია უსაფრთხო- ებისა და ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების დაცვა. ამ მიზნით მუშა- მოსამსახურეებზე უნდა ჩატარდეს ინსტრუქტაჟი გამოცდების ჩატარებით.

ე. წარმოდგენილი მოპ-ი მოცულობითა და შინაარსით შეესაბამება სნ და წ 3.01.03-85, §1.13 მოთხოვნილებებს საქალაქო განაშენიანებაში სამუშაოთა წარმოების თაობაზე

5. სამშენებლო სამუშაოთა წარმოების წესები და მეთოდები

I რიგის სამუშაოები

I ეტაპი: მოსამზადებელი სამუშაოები: მოცემულ ტერიტორიაზე განთავსებულია ძველი ავარიული შენობა, რომელიც ახალი შენობის მშენებლობის დაწყების წინ უნდა დაიშალოს ნაწილობრივ (სარდაფი ნარჩუნდება)

არსებული დასაშლელი შენობა მდებარეობს ქ. თბილისში, შესახვევი ჩეხოვის №7-ში, წარმოადგენს ორსართულიან ნაგებობას, სარდაფით. გეგმაში ნაგებობის ზომებია დაახლოებით 15X18.3 მ. არსებული შენობა ავარიულია, შენობის ძალოვანი სქემა მზიდი კედლების სისტემაა, სართულშუა გადახურვები ხის კონსტრუქციები, კედლები – აგურის წყობა, კიბე – ხის.

- შენობის დაშლა უნდა მოხდეს შემდეგი თანმიმდევრობით:
- ჯერ უნდა მოხდეს ელექტრო გაყვანილობების ჩხსნა ელ. სადგურიდან.
- შემდეგ უნდა მოხდეს წყალ კანალიზაციის ჩახსნა ქალაქის ქსელიდან.
- შენობის დაშლა დაიწყოს II სართულის გახურვიდან, ჩაიხსნას კოჭები, მოიხსნას ფანჯრები და კარი. დაიშალოს კედლის წყობა ფრთხილად, შემდეგ მოხდეს აგურების გასუფთავება შემდგომი გამოყენებისთვის.
- მეორე სართულის დაშლის შემდეგ მოხდეს I სართულის ჭერის კოჭების მოხსნა. მოიხსნას კარ-ფანჯრები, ფრთხილად დაიშალოს კედლების წყობა და გასუფთავდეს აგურები დუღაბისგან შემდგომი გამოყენებისთვის.
- სარდაფი სართული ნარჩუნდება.

კატეგორიულად აიკრძალოს შენობის დაშლის დროს ქვედა სართულზე ყველანაირი სამუშაოს ჩატარება.

მოსამზადებელი სამუშაოები იწყებენ სამშენებლო ციკლს. მათში შედიან: სამშენებლო ტერიტორიის გასუფთავება ნაგვისგან, ობიექტებიდან და ნივთებიდან რომლებიც უშლიან მშენებლობას; დროებითი შენობა- ნაგებობების მოწყობა;დროებითი წყლის გადამყვანების, კანალიზაციის და სამშენებლო მოედნის ელ. მომარაგების მოწყობა (სამფაზიანი მრიცხველის დაყენებით). განისაზღვრება 30 დღით

II ეტაპი: ტერიტორიის დაგეგმარება –ტერიტორიის დაკვალვა; განისაზღვრება 10 დღით. II რიგის სამუშაოები

III ეტაპი: წერტილოვანი საძირკვლების, და რანდკოჭების ქვეშ გრუნტის ამოღება. ბეტონის მომზადების ჩასხმა, არსებული საძირკვლების გამაგრება,. სარდაფის რეაბილიტაცია, წეტილოვანი საძირკვლების და რანდკოჭების არმირება და ბეტონის ჩასხმა. განისაზღვრება 120 დღით

მიწის ზედა ნაწილის აგება.

ამ ციკლს იწყებენ არსებულ მიწისქვეშა ნაწილზე შემდგომ 0.00 ნიშნ. სართულის კონსტრუქციების მოწყობით. განისაზღვრება 160 დღით.

IV ეტაპი: ძირითადი კონსტრუქციების, არამზიდი კონსტრუქციების და სახურავის კონსტრუქციების მოწყობით. განისაზღვრება 250 დღით

V ეტაპი: მონ.რკ.ბ. კედლების ჰიდროიზოლაცია, გრუნტის უკუჩაყრა, გარე მოსაპირკეთებელი სამუშაობი და ნაკვეთის კეთილ მოწყობა განისაზღვრა 100 დღით

6. მშენებლობის ხანგრძლივობის დადგენა

მშენებლობის ხანგრძლივობისა და სამშენებლო სამუშაოთა წარმართვის თვალსაზრისით მშენებარე ობიექტი – ერთ და ორსართულიანი ნაგებობებია არქიტექტურულ-მოცულობითი და კონსტრუქციული გადაწყვეტით მარტივი კატეგორიისაა სირთულის მიხედვით.

მშენებლობის ხანგრძლივობის დასადგენად ვსარგებლობთ სნ და წ 1.04.03-85 "მშენებლობის ხანგრძლივობის ნორმები". მშენებლობის ხანგრძლივობას ვადგენთ გვ. 551 პ. 10 ექსტრაპოლაციის მეთოდით ვადგენთ T=24 თვით.

7. უსაფრთხოების ტექნიკა

ა. უცხო პირთა, აგრეთვე სამშენებლო ოპერაციებში დაუსაქმებელ მუშა-მოსამსახურეთა ყოფნა სამშნებლო მოედანზე დაუშვებელია.

ბ. მუშა-მომსახურე პერსონალს უნდა ჩაუტარდეს ინსტრუქტაჟი მშნებლობაზე უსაფრთხოების ტექნიკის უზრუნველყოფის საკითხებზე, ასევე ტარდება გამოცდაც.

გ. დ. მომუშავეეთა შრომის უსაფრთხოების ღონისძიებები უნდა იყოს დაცული სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წარმოების ყველა ეტაპზე თანახმად სნ და წ III-4-80 "უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაში" და სხვა ნორმატიულ- საკა-ნონმდებლო დოკუმენტების მითითებების შესაბამისობით. მათგან ყურადღება მახვილდება შემდეგზე:

1.სამუშაო ადგილები მუშაობის პირობებისა და ტექნოლოგიურობის გათვალისწინებით უზრუნველყოფილ უნდა იყოს კოლექტიური დაცვისა და სიგნალიზაციის საშუალებებით.

2.ადვილად აალებადი სამღებრო, საიზოლაციო და სხვა მასალების, აგრეთვე მომწავლავი ნივთიერებების დღიური რაოდენობა სამშენებლო სამუშაოთა წარმოების ზონაში არ უნდა აღემატებოდეს იმავე დღიურ რაოდენობას მოთხოვნილების შესაბამისობით.

3. საჰიდროიზოლაციო სამუშაოთა შესრულებისას და ზოგიერთ სხვა სამუშაოზე მუშები უნდა იყენებდნენ სპეცტანსაცმელს, რესპირატორებსა და თავსაბურავებს.

1. საყალიბო ქარგილები დაყენების შემდეგ მათში ბეტონის ჩასხმამდე მოწმდება საიმედობაზე. ასევე მოწმდება ბადიის საიმედობაც და წესრიგიანობაც სამაგრების თვითგახსნა რომ არ მოხდეს.
2. მასალებისა და ნაკეთობების დასაწყობება უნდა მოხდეს მათზე ტექნოლოგიური მოთხოვნილებების პირობათა გათვალისწინებით; ამავე დროს ისინი უნდა დაწყოს მოსწორებულ ადგილზე, რომ მათო მოცურება არ მოხდეს.

3. ელექტრო უსაფრთხოების წესები ჩამოყალიბებულია სახსტანდარტში 12.1.013-88. ელექტროკარადა ყოველთვის უნდა იყოს ჩაკეტილ მდგომარეობაში, ელექტროკაბელები, ელექტროსადენები და მოწყობილობები კი იზოლირებული. გაშიშვლებული სადენების გამოყენება აკრძალულია.
4. იკრძალება ვიბრატორის სხვა ადგილზე გადატანა მისი ელექტროქსელიდან გამორთვის გარეშე. სამუშაოთა შესრულების შემდეგ ვიბრატორი სუფთავდება და მშრალად იწმინდება.
5. სამშენებლო მოწყობილობათა ჩართვა (საწეველები, პარკეტისა და მოზაიკის საპრიალებელ-მოსახვეწი დანადგარები, ელექტრო შესადუღებელი აპარატები და სხვა) საბინაო ელექტროქსელში აკრძალულია. ადგილობრივი ელსადგურის ტექზედამხედველობის სამსახურთან შეთანხმებით ნებადართული სატრანფორმატორო ქვესადგურიდან უნდა მოხდეს სამწვერიანი ელექტროკაბელის შემოყვანა დახურულ კარადაში, მრიცხველის დაყენება, საიდანაც ძალოვანი და განათებელი სადენები გაიმართება მომხმარებლისაკენ.

6. ეკოლოგია და ბუნების დაცვის საკითხი

ა. მშენებლობის დაწყება დაიშვება რაიონის ურბანული დაგეგმარების სამსახურის მიერ გაცემული ნებართვის შემდეგ. მშენებლობა აუცილებელია განხორციელდეს ბუნების დაცვითი და ჰაერის გაბინძურების საწინააღმდეგო ღონისძიებების დაცვით.

ბ. გარემოს დაცვის სამსახურის ნებართვის გარეშე მშნებლობის სიახლოვეს იკრძალება მრავალწლიანი ხეებისა და ნარგავების მოჭრა ან განადგურება.

გ. აკრძალულია სელიტებურ რაიონებში მშენებარე სიახლოვეს ხსნარ და ბეტონმრევი კვანძების მოწყობა. დიდი რაოდენობით ბეტონისა და ხსნარის შემოზიდვა ორგანიზებულ უნდა იქნეს სასაქონლო მოწოდებით საწარმოებიდან მიქსერებით.

დ. დაუშვებელია არსებულ საკანალიზაციო ჭებში ბეტონ და ხსნარ მილსადე- ნების ჩარეცხვა ან მათი დანაგვიანება სამშენებლო ნარჩენებით.

ე. საბათქაშო და მოსახვითი სამუშაოების შესრულებისას ფასადებს ჩამოეფაროს ფარდა, რათა არ მოხდეს მტვრის გაბნევა სელიტებურ ზონაში.

ვ. მშენებლობის დამთავრების პერიოდში შენობიდან სამშენებლო ნაგვის ღიად

ჩამოყრა დაუშვებელია, რათა ამ შემთხვევაშიც არ მოხდეს მტვრის გაბნევა სელიტებურ ზონაში. შენობა უნდა აღიჭურვოს ინვენტარული კონუსური ტიპის ნაგავგამტარებით და ნაგვის ჩამოცლა კი მოხდეს უშუალოდ ავტოთვითმცლელი მანქანების ძარებში.

II – ძირითადი სამშენებლო მანქანებისა და სატრანსპორტო საშუალებების მოთხოვნილებათა უწყისი

№	დასახელება	მარკა	რაო
1.	ავტოამწე		1
2.	თვითმცლელი, ძარიანი და სპეცავტოტრანსპორტი სხვადასხვა სამშ. ტვირთის შემოსატანად		1
3.	ბეტონმრევი		1
4.	ცემენტის ფენის მომასწორებელი აგრეგატი	სო-89	1
5.	შესალეს-მომასწორებელი აგრეგატი	სო-54	1
6.	ელექტროშესადუღებელი აპარატები	კომპ.	1
7.	ავტოგენური შედუღების დანადგარები	კომპ.	1
8.	სამღებრო სადგური	პსპ-2	
9.	ლითონის სახარაჩო სექციები 50 კვ.მ. ფართზე		
10.	პნევმატური ინსტრუმენტი: საბურღი, ხრახნდამჭერი და სხვა		
11.	სხვადასხვა დანიშნულების ხელის მოწყობილობა-ინსტრიმენტები: ნიჩბები, ბრები, ლომები, წერაქვები და სხვა	კომპ.	10
მითითებები: რეკომენდირებული მანქანა-დანადგარები და ინსტრუმენტ-მოწყობილობა შესაძლებელია შეიცვალოს ანალოგიური ან უფრო თანამედროვეთი.			



ფორმატი	-3	.თბილისი 2017 წ
		დაკვეთა № 2

ექსპლიკაცია

1. საპროექტო ნაგებობა
2. ავტომიქსერი-ბეტონმრევი
3. დროებითი ნაგებობა (საწყობი)
4. დროებითი ღობე
5. დროებითი ჭიშკარი

პირობითი აღნიშვნები

- საპროექტო ნაგებობა
- დროებითი ნაგებობა (საწყობი)
- დროებითი ღობე
- წითელი ხაზი
- დამცავი კეხის კონტური

შენიშვნები

1. ნახაზზე საპროექტო შენობის ნოლი შეესაბამება აბსოლუტურ ნიშნულს – 423.33

დამკვეთი
ტორნიკე კოპალეიშვილი

მისამართი
ქ. თბილისი, შესახვევი ჩეხოვი № 7

პროექტის სახელწოდება
ქ. თბილისში, შესახვევი ჩეხოვი № 7-ში, მოქალაქე თორნიკე კოპალეიშვილის საკუთრების ნაკვეთში სამსართულიანი მრავალ ფუნქციური კომპლექსი/შენობის პროექტი

თანამდებობა	გვარი	ხელმოწერა	თარიღი
დირექტორი	ჯ. აკობია		
.მთ.არქიტექ	გ. ჯაფარიძე		
ავტორები	თ. სიჭინავა		
შეასრულა	ნ. კაციტაძე		

საპროექტოს ლოგო
,, .შ.პ.სArchiShape ,,

მისამართი
,ქ.თბილისის ძველი თბილისის რაიონში დედაენის პარკის ტერიტორია საიდენტიფიკაციო კოდი 442732161

მასშტაბი	1:100	ნახაზი
თარიღი	2017	სამშენებლო გენგეგმა
ლაყოუტ		

სტადია	ფურცელი	ფურცლები
მპ	მო-1	3

სამონტაჟო ჭრილი
მ 1:100



ფორმატი -3	.თბილისი 2017 წ დაკვეთა № 2

ექსპლიკაცია

საპროექტო ნაგებობა .1
ავტომიქსერი-ბეტონმრევი .2
დროებითი ნაგებობა (საწყობი) .3
დროებითი ღობე .4
დროებითი ჭიშკარი .5

პირობითი აღნიშვნები

საპროექტო ნაგებობა
დროებითი ნაგებობა (საწყობი)
დროებითი ღობე

შენიშვნები

ნახაზზე საპროექტო შენობის .1
ნოლი შეესაბამება
აბსოლუტურ ნიშნულს – 423.33

დამკვეთი
ტორნიკე კოპალეიშვილი

მისამართი
ქ. თბილისი, შესახვევი ჩეხოვი № 7

პროექტის სახელწოდება
ქ. თბილისში, შესახვევი ჩეხოვი № 7-ში, მოქალაქე თორნიკე კოპალეიშვილის საკუთრების ნაკვეთში სამსართულიანი მრავალ ფუნქციური კომპლექსი/შენობის პროექტი

თანამდებობა	გვარი	ხელმოწერა	თარიღი
დირექტორი	ჯ. აკობია		
.მთ.არქიტექ	გ. ჯაფარიძე		
ავტორები	თ. სიჭინავა		
შეასრულა	ნ. კაციტაძე		

საპროექტოს ლოგო
,, .შ.პ.სArchiShape ,,

მისამართი
,ქ.თბილისის ძველი თბილისის რაიონში ღედაენის პარკის ტერიტოტია საიდენტიფიკაციო კოდი 442732161

მასშტაბი	1:100	ნახაზი
თარიღი	2017	სამონტაჟო ჭრილი
ლაყოუთ		

სტადია	ფურცელი	ფურცლები
მპ	-მო2	3

Ц3ВЗЧЗ5ОЗ ЧЗЗЗЗОЮ Ц5ЗЧЗЗЭЮ ЗЧЗЗЗЮ

3ЗЮЗЧЗЮ	3
ЗЮЦЗЧЗЮ Ф. ЮЗОЭЧЗЗЮ, ЧЗЮЦЗЗЗЗЮ ЗЗЮЮЗО № 7	-ЗЮ3
ЗФЮЗЧЗЮ ЮЮЦЗЧЗЗЗЮ, ЧЗЮЦЗЗЗЗЮ ЗЗЮЮЗО № 7-ЗЮ, ЗЮЗЭЧЗЧЗЮ	3

ЗФЮЗЧЗЮ ЮЮЦЗЧЗЗЗЮ ЗЗЮЮЗО ЗЗЮЮЗО ЗЗЮЮЗО